მარტი-ივლისი, 2020

GEORGIAN EMPLOYERS ASSOCIATION

NEWSLETTER

www.employer.ge | www.osh.ge | საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

აჭარის რეგიონის კომპანიებს შრომის უსაფრთხოების მომსახურებას დამსაქმებელთა ასოციაცია და ლეგალ ქონსალთინგ ცენტრი შესთავაზებენ

საქსტატსა და დამსაქმებელთა ასოციაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

დამსაქმებელთა ასოციაციამ აუდიტორულ კომპანიებთან და ბუღალტერთა კლუბ „ფორუმთან“ მემორანდუმი გააფორმა

საქსტატსა და დამსაქმებელთა ასოციაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ორმხრივ დოკუმენტს ხელი უწყების ხელმძღვანელებმა მოაწერეს და მომავალ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია საქსატატთან მემორანდუმის საშუალებით წევრ კომპანიებს ახალ სერვისს შესთავაზებს. ბიზნესის დაგეგმვისთვის აუცილებელია სხვადასხვა სახის ეკონომიკური მონაცემები, რომელიც მნიშვნელოვანია მომავლის პროგრნოზირებისთვის. განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი ფინანსური რესურსი კვლევითი ორგანიზაციების დასაქირავებლად. ამრიგად, საქატატსა და დამსაქმებელთა ასოციაციას შორის ინფორმაციის გაცვლის უწყვეტი პროცესი ორმხრივი სარგებლის მომტანი იქნება მხარეებისთვის,“- საქართველოს დამსაქმებელთა ასოცაიციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე.

საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის, გოგიტა თოდრაძის განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი სახის თანამშრომლობა, რადგან ის ხელს შეუწყობს ასოციაციაში გაერთიანებული ბიზნეს წრეების უზრუნველყოფას ხარისხიანი და ობიექტური სტატისტიკური ინფორმაციით. მისი თქმით, თანამშრომლობის ფარგლებში მოეწყობა თემატური ხასიათის შეხვედრები.

აჭარის რეგიონის კომპანიებს შრომის უსაფრთხოების მომსახურებას დამსაქმებელთა ასოციაცია და ლეგალ ქონსალთინგ ცენტრი შესთავაზებენ

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასა“ და კომპანია „ლეგალ ქონსალთინგ ცენტრს" შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით აჭარის რეგიონში მომსახურების ერთობლივად გაწევის თაობაზე.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მიხედვით, ლეგალ ქონსალთინგ ცენტრი საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან ერთად მოახდენს რეგიონში არსებული კომპანიებისათვის

მომსახურების გაწევას, რომელიც მიმართულია კომპანიებში შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების ნორმებისა და პირობების დანერგვასთან. მომსახურების გაწევა მოხდება ასოციაციის მიერ შემუშავებული შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების კანონმდებლობის დანერგვიასთან დაკავშირებული მომსახურების პაკეტის შესაბამისად. აღნიშნული მომსახურების ფარგლებში „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ შრომის უსაფრთხოების ექსპერტები შეაფასებენ კომპანიაში არსებულ შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს, შეიმუშავებენ სამოქმედო გეგმას, გადაამზადებენ თანამშრომლებს და დანერგავენ შრომის უსაფრთხოების იმ სტანდარტებს, რომელიც შესაბამისობაშია როგორც საერთაშორისო მოთხოვნებთან, ისე ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონი "შრომის უსაფრთხოების შესახებ" 2019 წლის 1 სექტემბრიდან ვრცელდება ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ ყველა ორგანიზაციაზე. დამსაქმებელი ვალდებულია შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით დანიშნოს, ან მოიწვიოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი.

პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებისთვის ტრენინგი გაიმართა

ბიზნეს გაერთიანება - „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ ორგანიზებით პროფესიულიი სასწავლებლების წარმომადგენლებისთვის კოლეჯებისა და საწარმოთა პრაქტიკული თანამშრომლობისა და კომუნიკაციის კომპონენტების შესახებ ორდღიანი ტრენინგი ჩატარდა.

ტრენინგის ფარგლებში განიხილეს პროფესიული სასწავლებლებისა და კომპანიების ურთიერთთანამშრომლობა გერმანული 4 საფეხურიანი სწავლების მეთოდების მაგალითზე. მონაწილეებმა ასევე იმსჯელეს საქართველოში დუალური პროფესიული სწავლების არსებულ პრაქტიკაზე და პროცესში არსებულ გამოწვევებზე.

ტრენინგი ჩატარდა პროფესიული განათლებისა და სწავლების პარნიორობის პროექტის ფარგლებში, რომელსაც საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია 2016 წლიდან გერმანიის ფედერალური სამინისტროს **BMZ (SEQUA)** მხარდაჭერით ახორციელებს.

დამსაქმებელთა ასოციაციამ აუდიტორულ კომპანიებთან და ბუღალტერთა კლუბ „ფორუმთან“ მემორანდუმი გააფორმა

ბიზნეს გაერთიანება „საქართელოს დამსაქმებელთა ასოციაციამ“ ბუღალტერთა კლუბ ფორუმთან და კომპანიებთან „ებიტ ქონსალთინგსა“ და „თი ფი სოლუშენთან“ ურთერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა, რომელიც მიზნად ისახავს მხარეებს შორის სისტემური თანამშრომლობის ჩამოყალიბებას, ინფორმაციის გაცვლასა და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას.

მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი კომპანიები სპეციალური შემოთავაზებებით ისარგებლებენ მემორანდუმის მონაწილე მხარეების საგადასახადო, აუდიტორულ და ბუღალტრულ სერვისებზე.

საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციასა (GHGA) და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციას (GEA) შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. რომლის მიზანია ასოციაციებს შორის სისტემური თანამშრომლობის ჩამოყალიბება, ინფორმაციის გაცვლა, კოორდინირებული მუშაობა და ქვეყანაში მეწარმეობის განვითარება.

დამსაქმებელთა ასოციაციამ ბიზნესთან დისტანციური შეხვედრები დაიწყო

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ დისტანციურ შეხვედრას, რომელიც მიზნად ისახავდა საგანგებო მდგომარეობის პერიოდში კომპანიების საქმიანობის პროცესში არსებულ შეზღუდვებს და შრომით ურთიერთობებს, 60-ზე მეტი კომპანიის წარმომადგენელი ესწრებოდა.

შეხვედრაზე განიხილეს ისეთი საკითხები როგორებიცაა, კომპანიებისთვის არსებული რეგულაციები; საგანგებო მდგომარეობაში წამოჭრილ სამართლებრივი პრობლემები; შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის, შეჩერების შესაძლებლობები; უხელფასო შვებულებისა და შრომით საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი რისკები; სახელმწიფოს მიერ დაანონსებული შეღავათები; ფორსმაჟორის პირობებში ბიზნესის სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობას და პოსტ კრიზისულ პერიოდში ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან და სხვ.



„ დამსაქმებელთა ასოციაციაში უკანასკნელი კვირების განმავლობაში თავი მოიყარა უამრავმა პრობლემურმა, ბუნდოვანმა და გადაუწყვეტელმა საკითხმა ბიზნეს სექტორის მხრიდან, რომლის საპასუხოდაც დავგეგმეთ დისტანციური შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების ციკლი. ჩვენი მიზანია, ბიზნეს სექტორი დავაკავშიროთ სფეროს ექსპერტებთან, მთავრობის წარმომადგენლებთან და სხვა კომპეტენტურ პირებთან პირდაპირი, რათა მაქსიმალურად ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ თემის ირგვლივ, რომელიც მათ ამ პერიოდში დღის წესრიგში დაუდგათ. მოხარულები ვართ, რომ ბიზნეს სექტორისგან ვხედავთ მზაობას, კანონის ფარგლებში შეინარჩუნონ ბიზნესის მდგრადობა და მინიმალური ადამიანური და ფინანსური რესურსების დანაკარგით გამოვიდნენ კრიზირული პერიოდიდან,“- საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე.

შეხვედრის მნიშვნელოვანი ნაწილი კითხვა-პასუხს დაეთმო, რომლის ფარგლებშიც კომპანიების წარმომადგენლებმა მათთვის საინტერესო შეკითხვებზე კომპეტენტური პასუხები მიიღეს.

შეხვედრას საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე და იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელი შალვა ცხაკაია უძღვებოდნენ.

უახლოეს დღეებში მომდევნო შეხვედრა დაანონსდება და მსურველებს რეგისტრაციის შესაძლებლობა ექნებათ.

დისტანციური შეხვედრა თენგიზ კალანდაძესთან

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებით გამართული მორიგი დისტანციური შეხვედრის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტის უფროსი, სურსათის მარაგებისა და ფასების მონიტორინგის შტაბის უფროსი და საოპერაციო შტაბის წევრი თენგიზ კალანდაძე ასოციაციის წევრი კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე უძღვებოდა, განხილული მთავარი თემები იყო საგანგებო მდგომარეობის პერიოდში გადაადგილებასთან დაკავშირებულ შეზღუდვები, სპეციალური საშვები და გამონაკლისები.

შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატში წარიმართა და კომპანიების წარმომადგენლებმა მიიღეს პასუხები ისეთი აქტუალური საკითხების შესახებ, როგორებიცაა გადაადგილებასთან დაკავშირებით



არსებული შეზღუდვები; ჩაკეტილ ქალაქებში გადაადგილება; საშვების გაცემის პროცედურები; კომენდანტის საათში გადაადგილების დაშვების უფლება; საქალაქთაშორისო მიმოსვლა; ინფორმაცია მთავრობის მიერ ახლო მომავალში შეზღუდვების მოხსნასთან დაკავშირებით.

„საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა დისტანციური შეხვედრების მსგავსი მოდელი ბიზნეს სექტორისთვის, რადგან მათ სახლიდან გაუსვლელად შეუძლიათ სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენელს შეხვდნენ, დაუსვან ნებისმიერი თემატური შეკითხვა და მიიღონ კომპეტენტური პასუხები. ვინაიდან დიდია დაინტერესება და გამოხმაურება აღნიშნული პროექტის მიმართ, უახლოეს დღეებში დავაანონსებთ შემდეგ შეხვედრებს, ასევე ბიზნესის აქტუალურ საჭიროებებზე მორგებულ დისტანციურ ტრენინგებს. აქვე მადლიერებას გამოვხატავთ სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც მზად არიან მონაწილეობა მიიღონ შეხვედრებში და უპასუხონ ბიზნესის შეკითხვებს," - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ მსგავსი ტიპის ღონისძება უკვე გამართა ზოგადად არსებული რეგულაციების და შრომითი ურთიერთობების საკითხებზე. შეხვედრებში ათეულობით კომპანია იღებს მონაწილეობას.

დისტანციური ტრენინგი შრომითი ურთიერთობების თემაზე

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ დანიის საგაარეო საქმეთა სამინისტროს (DANIDA) ფინანსური მხარდაჭერით და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით წევრი კომპანიებისთვის კრიზისულ და პოსტკრიზისულ პერიოდში შრომითი ურთიერთობების თემაზე დისტანციური ტრენინგების სერიები დაიწყო.



პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგების ციკლს, რომელსაც ჯამში 200-მდე კომპანიის წარმომადგენელი დაესწრება, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) შრომითი ურთიერთობების ექსპერტები უძღვებიან.

ტრენინგის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა მელაძემ და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მთავარმა ტექნიკურმა მრჩეველმა კინან ბანასმა მიმართეს.

ტრენინგების ფარგლებში კომპანიების იურისტები და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერები მიიღებენ ინფორმაციას კრიზისების დროს შრომითი ურთიერთობების მოგვარების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ. ასევე იმსჯელებენ შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის, შრომითი ურთიერთობების შეჩერების, შრომითი დავების გადაწყვეტის, მედიაციისა და სასამართლო პრაქტიკის შესახებ.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით დისტანციური ფორმატის ტრენინგებს შრომის უსაფრთხოების და სხვა აქტუალური საკითხების შესახებაც უახლოეს მომავალში დააანონსებს.



შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი COVID 19 დროს

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მხარდაჭერით გაიმართა ორდღიანი სემინარი თემაზე: შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი COVID 19 დროს - ადგილობრივი მოთხოვნები და საერთაშორისო პრაქტიკა საოფისე ტექნიკურ -ადმინისტრაციული საქმიანობებისთვის.

სემინარის მიზანის წარმოადგენდა კომპანიებისთვის სფეროებისა და საქმიანობის გათვალისწინებით სრული ინფორმაციის მიწოდება არსებული რეგულაციებისა და რეკომენდაციების შესახებ. ასევე, როგორ უნდა დააკმაყოფილონ რეკომენდაციები და აწარმოონ შესაბამისი დოკუმენტაცია, რათა თავიდან აიცილონ საქმიანობის შეჩერებასთან დაკავშირებული პრობლემები, დასაქმებულთა და სხვა მხარეების

დაინფიცირების რისკები და ფულადი ჯარიმები.

სემინარს ეძღვებოდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სერტიფიცირებული ტრენერი - დავით ჩიჯავაძე.

სემინარს 30-მდე კომპანიის წარმომადგენელი ესწრებოდა.

ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტმა ხუთი წლის ანგარიში წარადგინა.

ღონისძიებაში საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე მონაწილეობდა, ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური პარტნიორის სტატუსით

ლაშა ლაბაძემ ღონისძიებაზე ბიზნეს სექტორის პოზიციიდან შრომის უსაფრთხოების კუთხით უკანასკნელი 5 წელი შეაფასა.

ბიზნესის შეხვედრა თამარ ქიტიაშვილთან

კერძო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრები „პროფესიული განათლება ბიზნესისთვის კოვიდ-19-ს შემდეგ" გრძელდება.

ამჯერად, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, თამარ ქიტიაშვილმა ონლაინ სამუშაო შეხვედრა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის, სხვადასხვა დარგობრივი გაერთიანებებისა და უშუალოდ კომპანიების წარმომადგენლებთან გამართა.

შეხვედრის თემა იყო ადამიანური რესურსების კუთხით ბიზნესის საჭიროებებისა და სამინისტროს მხრიდან გადასადგმელი ნაბიჯების განხილვა.

მომდევნო ორი თვის განმავლობაში სამინისტრო ინტენსიურ რეჟიმში აგრძელებს შეხვედრების კამპანიას ბიზნეს სექტორთან და დარგობრივ ასოციაციებთან. შეხვედრები კვირაში ერთხელ იმართება და მიზნად ისახავს საჯარო-კერძო სექტორებს შორის დიალოგს, კერძოდ, ასოციაციის წევრ ბიზნესებთან აქტიურ დისკუსიას კოვიდით გამოწვეული პრობლემების ინიდენტიფიცირებისა და პროფესიული განათლების კონტექსტში, მათი შესაძლო გადაჭრის გზების შეთავაზების მიზნით.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია (GEA) სამინისტროს ერთ-ერთი სოციალური პარტნიორია, მათი წევრების ნაწილი მჭიდროდ თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯებთან და ჩართულია მომზადებისა და გადამზადების პროგრამების მიწოდების პროცესში.

ამავე დღეს, ასოციაციისა და კერძო ბიზნესის წარმომადგენლები საინფორმაციო ტექნოლოგიების კოლეჯს ეწვივნენ, სასწავლო გარემო დაათვალიერეს და პირადად გაეცნენ არსებულ პროგრამებს. კოლეჯში ამ ეტაპზე პროფესიულ პროგრამებზე ონლაინ რეგისტრაცია და ასევე მოკლევადიანი მომზადება - გადამზადების პროგრამაზე დისტანციური სწავლება მიმდინარეობს.

შეხვედრა შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებით გამართული დისტანციური შეხვედრების ფარგლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბექა ფერაძე ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე უძღვებოდა.



შეხვედრის მთავარი თემა ეკონომიკის გახსნის პროცესისა და ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტების/მეწარმე სუბიექტებისთვის საქმიანობის აღდგენასთან დაკავშირებულ პროცედურების შესახებ კერძო სექტორის ინფორმირება იყო.

„დამსაქმებელთა ასოციაციაში კერძო სექტორთან მუდმივი კომუნიკაციის შედეგად არაერთი ბუნდოვანი საკითხი დაგროვდა, რომელზე საპასუხოდაც მოვიწვიეთ კომპეტენტური პირი და ბიზნეს სექტორს საშუალება მივეცით უშუალოდ შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის ხელმძღვანელისგან მიეღოთ პასუხები. კერძოდ, საუბარი შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა - ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების რეგისტრაცია; საქმიანობის აღდგენის ნებართვის გაცემის პროცედურები და ვადები და აუცილებელი მოთხოვნები, ნებართვის მინიჭების შემდგომი მონიტორინგი; საჯარიმო სანქციები და ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციები და სხვა," -



საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე.

შეხვედრას, რომელსაც 60-მდე კომპანიის წარმომადგენელი ესწრებოდა, კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

შეგახსენებთ, რომ საგანგებო ვითარების პერიოდში საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ შეიმუშავა „ბიზნესთან დისტანციური შეხვედრების" პროექტი, რომლის საშუალებითაც კერძო სექტორის წარმომადგენლებს საშუალება აქვთ აქტუალური საკითხების შესახებ კომპეტენტური პირებისგან მიიღონ პასუხები და რეკომენდაციები.



შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი COVID 19 დროს - ადგილობრივი მოთხოვნები და საერთაშორისო პრაქტიკა საწარმოო სექტორისთვის

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მხარდაჭერით გაიმართა ორდღიანი სემინარი თემაზე: შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი COVID 19 დროს - ადგილობრივი მოთხოვნები და საერთაშორისო პრაქტიკა საწარმოო სექტორისთვის.

სემინარის მიზანის წარმოადგენდა კომპანიებისთვის სფეროებისა და საქმიანობის გათვალისწინებით სრული ინფორმაციის მიწოდება არსებული რეგულაციებისა და რეკომენდაციების შესახებ. ასევე, როგორ უნდა დააკმაყოფილონ რეკომენდაციები და აწარმოონ შესაბამისი დოკუმენტაცია, რათა თავიდან აიცილონ საქმიანობის შეჩერებასთან დაკავშირებული პრობლემები, დასაქმებულთა და სხვა მხარეების დაინფიცირების რისკები და ფულადი ჯარიმები.

სემინარს ეძღვებოდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სერტიფიცირებული ტრენერი - დავით ჩიჯავაძე.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მხარდაჭერით უკანასკნელი თვეების განმავლობაში COVID-19 პანდემიის პირობებში უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის თემატიკაზე კომპანიებს სექტორულ ჭრილში ტრენინგებსა და სემინარებს სთავაზობს.

შრომითი ურთიერთობები გლობალური კრიზისის დროს

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ეგიდით მორიგი დისტანციური ტრენინგი გაიმართა ასოციაციის წევრი კომპანიების იურისტებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერებისთვის.

სემინარს სახელწოდებით „შრომითი ურთიერთობები გლობალური კრიზისის დროს“ უძღვებოდნენ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები შრომით სამართალში.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ წევრ კომპანიებს ათეულობით დისტანციური ტრენინგი/ სემინარი შესთავაზა კონკრეტული ბიზნეს სექტორების პანდემიით გამოწვეული საჭიროებებსა და გამოწვევებზე საპასუხოდ.



შრომითი ურთიერთობები პოსტ-კრიზისულ პერიოდში და რეორგანიზაციის მართვა

ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ეგიდით მორიგი დისტანციური ტრენინგი გაიმართა წევრი კომპანიების წარმომადგენლებისთვის.

ტრენინგს სახელწოდებით - " შრომითი ურთიერთობები პოსტ-კრიზისულ პერიოდში და რეორგანიზაციის მართვა" უძღვებოდნენ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები შრომით სამართალში.

სემინარზე კომპანიების იურისტებმა და ადამიანური მართვის მენეჯერებისთვის ისეთი

აქტუალური საკითხების შესახებ გაიმართა მსჯელობა, როგორებიცაა ფორს-მაჟორის განმარტება და მისი ზეგავლენა შრომით ურთიერთობებზე; რეორგანიზაციის დაწყება, შეტყობინება, ობიექტური კრიტერიუმების შედგენა, სასამართლო პრაქტიკა; შრომის კოდექსის არსებული რედაქცია შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა, შრომითი ურთიერთობების შეჩერება; კრიზისების დროს შრომითი ურთიერთობების მოგვარების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მხარდაჭერით სისტემატიურად სთავაზობს დისტანციური ტრენინგების სერიას წევრ კომპანიებს შრომის უსაფრთხოების, შრომითი და ინდუსტრიული ურთიერთობების და სხვა საკითხების შესახებ.

კრიზისულ პერიოდში პროფესიული განათლების გამოწვევების შესახებ მხარეებმა იმსჯელეს

პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტის ფარგლებში საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა ონლაინ შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განათლების სამინისტროს, ბიზნესის სექტორისა და პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებმა იმსჯელეს პროფესიულ დუალურ განათლებაზე COVID 19-ის ზეგავლენის საკითხებზე.

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისთვის მრავალი წელია პროფესიული განათლების საკითხი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. წარმოვადგინეთ ჩვენი პოზიციები,



თუ რა გამოწვევების წინაშე დადგება ბიზნესი კრიზისულ და პოსტკრიზისულ პერიოდში პროფესიული განათლების კონტექსტში. წინასწარი გათვლებით, კომპანიებს კარების გაღება დუალური განათლებისთვის სამუშაო სივრცის დათმობისთვის სტუდენტებისთვის გაუჭირდებათ, ვინაიდან ვალდებული გახდება უზრუნველყოს ისინი დამცავი საშუალებებით. აღნიშნული ფინანსური ხარჯი შესაძლებელია შემაფერხებელი ფაქტორი იყოს დუალური განათლების წარმატებით გახორციელებისთვის," - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ მარიკა ზაქარეიშვილმა შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინა COVID 19-ის საპასუხო აქტივობების პროფესიული განათლების მიმართულებით და საგანმანათლებლო სექტორის



ზოგადი გამოწვევები კრიზისულ პერიოდში.

კომპანია „გუდვილმა" და პროფესიულმა კოლეჯმა „იკაროსმა" შეხვედრის მონაწილეებს გაუზიარეს კონკრეტული პროფესიული პროგრამების გახორციელების პროცესში წარმოქმნილი ხარვეზები არსებულ ვითარებაში.

შეხვედრის ფარგლებში იდენტიფიცირებული გამოწვევები არა მხოლოდ მსჯელობის საგანს წარმოადგენს, არამედ დამსაქმებელთა ასოციაცია პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტის ფარგლებში დაგეგმილ კონკრეტულ აქტივობებს მხარეების საჭიროებების და ახალი გამოწვევების მიხედვით დაარედაქტირებს.



შეგახსენებთ, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია აღნიშნულ პროექტს 2016 წლიდან გერმანიის ხელისუფლების მხარდაჭერით ახორციელებს.

სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის წარდგენა დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი კომპანიებისთვის



საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებით მორიგი დისტანციური შეხვედრა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც წევრმა კომპანიებმა სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული პროექტების შესახებ ინფორმაცია მიიღეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის გელა ხანიშვილისგან.

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მჭიდროდ თანამშრომლობს, რათა საქმიანობის გაფართოების მსურველ კომპანიებს საშუალება მისცეს საგრანტო კონკურსებსა, თუ სხვა პროექტებში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში მარტივად დაუკავშირდნენ კომპეტენტურ პირებს. სამომავლოდ მსგავსი ტიპის შეხვედრები სამთავრობო სტრუქტურების სხვა წარმომადგენლებთანაც იგეგმება და უახლოეს პერიოდში დავაანონსებთ," - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე.

შეხვედრის მონაწილე კომპანიების უმრავლესობამ გამოხატა მზაობა და ინტერესი სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებულ პროექტები ჩართვისთვის.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

მის.: თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. #106

ტელ.: 2 14 73 73

მობ.: 514 077 777, 514 088 888

ელ-ფოსტა: employer@employer.ge

ვებ-გვერდი: www.employer.ge, www.osh.ge